ოშო / OSHO

სექსი

(ოშო სექსის შესახებ –
ამონარიდები წიგნებიდან)

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

წიგნი შედგება ოშოს გამონათქვამებისგან სექსის შესახებ, გამონათქვამები აღებულია ოშოს შემდეგი წიგნებიდან: „სექსიდან სუპერცნობიერებამდე“; „სიყვარულის ძალა“; „რა არის მედიტაცია?“; „ფარული მისტერიები“; „ახალი ალქიმია: იმისათვის, რომ აღგაგზნოთ თქვენ“; „ეზოტერიკის ფსიქოლოგია“ და სხვ.

მთარგმნელები:
გია ბერაძე, ვაჟა ნარიმანიძე
კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6661-6

სარჩევი

სექსი.....5
გამომცემლობის მიერ გამოცემული ოშოს წიგნები..97

„ცხოვრებას მის ყველა დონეზე შეიძლება ორი მხრიდან შევხედოთ. მას ორი ასპექტი აქვს, ერთი – მატერიალური და მეორე – სულიერი. აუცილებელია, სექსი განვიხილოთ ასევე ამ ორი თვალსაზრისით. სექსის ერთი ასპექტი ბიოლოგიურია და უკავშირდება სხეულსა და მის ნაწილებს, მეორე არის ენერგია, სული, რომელიც გონებასთან ცნობიერებითაა დაკავშირებული. ამიტომ აუცილებელია, თავდაპირველად ორ სიტყვას ჩავწვდეთ. პირველია *ბიოლოგიური* ენერგია, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლის უჯრედებთან, ადამიანის სხეულს რომ ქმნიან. ეს უჯრედები სხეულის ნაწილებია. ის ბიოლოგიური წარმონაქმნი, რომელსაც ჩვენ *თე-*

სლს, სექსუალურ ენერგიას თუ რაიმე სხვა სახელს ვუწოდებთ, შეიძლება შეუიარაღებელი თვალითაც დავინახოთ. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი მასთან დაკავშირებული ასპექტი, რომელსაც შეიძლება შინაგანი ენერგია ანუ *ენერგია* ეწოდოს. მას შეგვიძლია დავარქვათ სექსუალური ენერგია ან შინაგანი ენერგია. ის მაგნიტს ჰგავს. მაგნიტში არის რკინის ნაჭერი, რომელსაც ვხედავთ და ასევე მასში მის ყველა მხარეს არის მაგნიტური ველი, რომელიც არ ჩანს, მაგრამ, თუ მასთან ახლოს რკინის ნაჭრებს მივიტანთ, მაგნიტური ენერგია მათ მიიზიდავს. იქ არის ველი, რომელშიც ეს ენერგია მოქმედებს. რკინის ეს ნაჭერი დარჩება რკინის ნაჭრად მაშინაც კი, თუ ის მაგნიტურ ენერგიას დაკარგავს. არ იქნება არაავითარი განსხვავება ამ ნაჭრის წონაში, არ იქნება არავითარი განსხვავება მის შემადგენლობაშიც კი, არ იქნება არავითარი განსხვავება მის ფორმაშიც. მაგრამ ექნება ერთი ფუნდამენტური განსხვავება თავის შიგნით – მასში არ იქნება მაგნიტური ენერგია და მიზიდულობის ენერგია აღარ იმოქმედებს.

სული არის მაგნიტური ველი. სხეული ხილულია, მაგრამ სულის მხოლოდ ძალა ჩანს; მიზიდულობის მხოლოდ შედეგი ჩანს. დედამიწა ჩანს, მაგრამ მისი გრავიტაციის ენერგია, რომელიც განუწყვეტლივ გვი-

ზიდავს, არ ჩანს. თუ დედამიწა გაგვათავისუფლებს, ჩვენ წამითაც კი ვერ დავრჩებით აქ. კოსმოსში მოგზაურები უდიდესი პრობლემის წინაშე მაშინ დგებიან, როცა მათი კოსმოსური ხომალდი დედამიწის ორას მილიან მაგნიტურ ველს ტოვებს და შედის სივრცეში, რომელშიც გრავიტაცია არ არის. ამის შემდეგ მათ შეიძლება ხომალდში აქეთ-იქით ქარის ნაკადივით იტრიალონ, თუ მათი ქამარი სკამზე კარგად არ იქნება დამაგრებული. ისინი გაზის ბალონებივით იქნებიან, რომლებიც სახლის ჭერსაც კი ეხება. დედამიწა გვიზიდავს, მაგრამ ამის შესახებ არ ვიცით, რადგან ეს არ არის ისეთი რამ, რაც შეიძლება დაინახო. რაც ჩანს, ეს არის დედამიწა, რაც არ ჩანს, ეს არის გრავიტაცია. რაც ჩანს, ეს არის სხეული, რაც არ ჩანს, ეს არის გონება და სული. ასევე აუცილებელია, გავიგოთ სექსუალური ენერგიის ორი ასპექტი – რაც ჩანს, არის სიცოცხლის ბიოლოგიური უჯრედები და რაც არ ჩანს, არის მათი სექსუალური ენერგია.

მხოლოდ სექსის ენერგიას შეუძლია აყვავილდეს და სიყვარულად გარდაიქმნას. მაგრამ ყველა, კაცობრიობის დიდი მოაზროვნეების ჩათვლით, ამის წინააღმდეგია. ასეთი წინააღმდეგობა საშუალებას არ აძლევს თესლს, აღმოცენდეს და სიყვარულის სასახლე ფუნდამენტშივე ინგრევა. სექსის მიმართ

მტრობამ სიყვარულის შესაძლებლობა გაანადგურა. ნახშირს აღარ აქვს უნარი, ალმასად იქცეს.

სექსის ენერგია ღვთაებრივია, ღმერთის ენერგიაა. აი, ამიტომ ქმნის ეს ენერგია ახალ სიცოცხლეს და ეს არის უდიდესი, ყველაზე იდუმალი ძალა.

მხოლოდ სექსისა და მისი ყველა ასპექტის ჩაწვდომით ჩვენ შეგვეძლება ავმაღლდეთ სექსზე, პრობლემისაგან თავს თვალების დახუჭვით ვერ გაითავისუფლებ.

სექსი ადამიანის ყველაზე ვიბრირებადი ენერგიაა, მაგრამ ის არ უნდა იყოს დასასრული საკუთარ თავში. სექსმა ადამიანი მისი სულისკენ უნდა წაიყვანოს. მიზანი არის ფიზიკური ლტოლვიდან სინათლისაკენ.

საზოგადოება მხოლოდ მაშინ განთავისუფლდება სექსის აჩრდილისგან, როცა გვეყოფა გამბედაობა, სექსზე რაციონალურად ვილაპარაკოთ და მას ჯანსაღი თვალებით შევხედოთ.

სექსზე ფიქრი უფრო მავნებელია, ვიდრე თავად სექსი. სექსი შეიძლება ადვილი და ბუნებრივი იყოს, მაგრამ მის შესახებ ფიქრი ხშირად არაბუნებრივია, გაუკუღმართებულია. ათასობით ადამიანის გამოცდილების შესწავლის შემდეგ ფსიქოანალიტიკოსები გვეუბნებიან, რომ ადამიანი ზედმეტად არის დაინტერესებული მენტალური სექსით და ვერავითარ

სიამოვნებას ვერ იღებს ნამდვილი სექსუალური ურთიერთობისგან. სექსი, რომელიც გონებაში მიმდინარეობს, უფრო საინტერესო და ფერადოვანია. როცა სექსი ასე გაუკუღმართებულია ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს შიგნით ქაოსი იქმნება. სექსის შესახებ ფიქრი გონების ფუნქცია არ არის. იმ ადამიანის ინტელექტი, რომელიც თავის გონებას სექსუალური ცენტრის ფუნქციის შესასრულებლად იყენებს, ირყვნება, ფუჭდება, როგორც გურჯიევი[1] იტყოდა ხოლმე. ასეთი ინტელექტი განწირულია იმისთვის, რომ გაიხრწნას, იმიტომ, რომ ამ ორის ფუნქცია განსხვავებულია. აი, ასეთი შედარება რომ მოვიყვანოთ – თუკი ადამიანი შეეცდება, საკვები ყურებით მიიღოს, რა თქმა უნდა, ყურებს დაიზიანებს. საკვები მუცელში არ მოხვდება და ისიც ვეღარ შეასრულებს თავის ფუნქციას“[2].

---

1. გიორგი ივანეს ძე გურჯიევი – თეოსოფი, აღმოსავლური ოკულტიზმის მიმდევარი, ქრისტიანული მისტიკურ-ანთროპოლოგისტური მოძღვრების ავტორი. მის კალამს ეკუთვნის არაერთი ეზოთერული ნაშრომი. გამომცემლობა „აქტმა“ სხვადასხვა წლებში გამოსცა გიორგი გურჯიევის წიგნები: 1. „გრძნეულთა ბრძოლა“, 2. „დანახული რეალური სამყაროდან“, 3. „შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან“, 4. „ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ““. ასევე, მისი ძირითადი ნაშრომი: „ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის“.

2. ოშო, „სექსიდან სუპერცნობიერებამდე“, გამომცემლობა „აქტი“, 2023 წ.

გამომცემლობის მიერ
გამოცემული ოშოს წიგნები

1. სექსი
2. ცნობიერების მზე
3. საწყისთა საწყისი
4. სიყვარულის ძალა
5. რა არის მედიტაცია?
6. გზა სრულყოფილებისაკენ
7. სიცოცხლე, სიყვარული, სიცილი
8. სექსიდან სუპერცნობიერებამდე
9. მომავლის ადამიანის უფლებები